სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	95	100

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

თარიღი: 16.09.24

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ზურაბ ძლიერიშვილის

შეფასება

16 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი

<u>**კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის**</u> მიერ <u>**წარმოდგენილი დოკუმენტაციის**</u> (ავტობიოგრაფია; სამართლებრივი დოკუმენტები/სასამართლო გადაწყვეტილებები; სერთიფიკატები) და <u>**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის**</u> (რეკომენდაციები; რესპონდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისციპლინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტიდან; სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე - განხილვის ვადები და სტაბილურობა; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) <u>**შესწავლისა**</u> და <u>**კანდიდატთან ჩატარებული ღია გასაუბრების შედეგების საფუძველზე,**</u> „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის** (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი: ზურაბ ძლიერიშვილი

ასაკი: 51 წელი

განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 28 წელი

სამუშაო ადგილი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე

1. კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

1.1 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპონდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - კვალიფიციურობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და ა. შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი. მიმდინარე პერიოდში პარკირების/საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის სამართალდარღვევა არ ფიქსირდება.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის ნეგატიური ინფორმაცია, კანდიდატის - პატიოსნების, კეთილსინდისიერების ან სხვა მახასიათებლის ნაწილში არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან, მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებლობის პრინციპის ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, მართალია ინტერნეტ-სივრცეში მოიპოვება რამდენიმე სტატია, მოსამართლის მიერ განხილულ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ რაიმე კონკრეტული გარემოება და ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ზურაბ ძლიერიშვილი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპონდენტთა მიერ შევსებული კითხვარების, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანდიდატს მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად (რეკომენდაციები, კითხვარები), კანდიდატის პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია ხასიათდება დადებითად, ამასთან, ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის კონკრეტული ფაქტი, რომელიც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ მითითებულა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასათებელსაც.

1.5 ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების

მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის, სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემების, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და უძრავი ქონების რეესტიდან არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და კანდიდატის ქონებრივი ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების ინტერესებთან, შესაბამისად კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატი - ზურაბ ძლიერიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს სრულად, მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

2.1 სამართლებრივი ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საჯარო გასაუბრების პროცესში გამოვლენილი ცოდნა.

საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატმა ზურაბ ძლიერიშვილმა სიღრმისეულად იმსჯელა უზენაესი სასამართლოს არაერთ მნიშვნელოვან პრეცენდენტულ გადაწყვეტილებაზე, ასევე პრაქტიკაში გამოკვეთილ ხარვეზიან მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებზე.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით.

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. გადაწყვეტილებები არის სათანადოდ არგუმენტირებული, განმტკიცებულია, შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით. წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ გამოყენებულია როგორც შიდა კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო აქტები, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

ამდენად, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები შეესაბამება გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს.

ამასთან, საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების ძალიან კარგი უნარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის 28 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, დაახლოებით 10 წლის სამოსამართლო გამოცდილება (უზენაესი სასამართლოს მოსამართლე).

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და საჯარო გასაუბრების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით.

2.3. წერის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული, დოკუმენტები არის დასაბუთებული, სათანადოდ ორგანიზებული,

დოკუმენტებში არსებული ფაქტობრივი გარემოებები თუ სამართლებრივი შეფასებები ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით, კანდიდატის მიერ ძირითადად დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ამდენად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით.

2.4 ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად, გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, რის გამოც მისი შეფასება უნდა განხორციელდეს - 15 ქულით.

2.5 პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რესპონდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის შესახებ, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ამასთან, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანდიდატის მიერ საქმის განხილვის/სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 98,6% - ვადის დარღვევით- 1,4%

- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%

ამდენად, ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის პროდუქტიული და სწრაფი, აქვს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.

ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

2.6 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

პროფესიული განვითარების მიზნით ზურაბ ძლიერიშვილი მონაწილეობას იღებდა შემდეგ აქტივობებში:

- სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, წინანდალი, დეკემბერი 2023წ
- სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs" Universität Des Saarlands, Saarbrüken, Germany 25-26 October, 2023 მომხსენებელი/მონაწილე „Materialler Schadenersatz bai Verkehrunfällen" (სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები.)
- საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის" თსუ/ალტე უნივერსიტეტი, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (CoLE) 3 ოქტომბერი, 2023 წ.
- ფორუმი თემაზე: „გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ბენჩბუქის" მომზადება" USAID/PROLoG კაჭრეთი, საქართველო 15-17 სექტემბერი, 2023 წ.
- სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა. ლოპოტა, ივნისი 2023წ
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „მომხმარებელთა უფლებების დაცვა" კონკურენციის ეროვნული სააგენტო, თბილისი, საქართველო 15 მარტი, 2023 წ.
- სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა. წინანდალი, თებერვალი 2023წ
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე : „მედიაცია საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივები", საქართველოს მედიატორთა ასოციაცია/ USAID თბილისი, საქართველო 18 დეკემბერი, 2022 წ.
- ტრენინგი - „ბავშვთა უფლებები" USAID, Rule Of Law Program. ბორჯომი, ოქტომბერი

2022წ

- ტრენინგი - „ შემთხვევის გადაწყვეტის მეთოდი“ IRZ, თბილისი, სექტემბერი 2022წ
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე; „COVID 19-ის პანდემია და ადამიანის უფლებები“, თსუ/ალტე უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო 29 ნოემბერი, 2021 წ.
- ფორუმი თემაზე: „უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე.“ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი/ თსუ თბილისი, საქართველო 30 ოქტომბერი, 2021 წ.
- ფორუმი თემაზე: „ადვოკატის პროფესიული საიდუმლოს დაცვის მნიშვნელობა მართლმსაჯულებისათვის“ Council of Europe/GBA, თბილისი, საქართველო 21 ოქტომბერი, 2021 წ.
- საერთაშორისო ფორუმი თემაზე“ „სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები.“ GIZ/ დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო. Drezden, Germany 03-07 დეკემბერი, 2019 წ. მომხსენებელი/მონაწილე მოთხოვნის საფუძვლების კონკურენციისას ხანდაზმულობის ვადები.
- კონფერენცია თემაზე: „ სანდო მართლმსაჯულება, დემოკრატია და ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“ საქართველოს ადვოკათთა ასოციაცია/ USAID/PROLoG, თბილისი, საქართველო 23 ივლისი, 2019წ.
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ მედიცინის სამართალი“, IRZ, Universität Würzburg, თსუ. საქართველო, თბილისი. 19-20 ივლისი, 2019 წ.
- ფორუმი თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება და სამოსამართლო ეთიკა“, Council of Europe, EU4Justice/USAID თბილისი, საქართველო. 05 ივლისი, 2019 წ.
- ფორუმი თემაზე: „სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები.“ GIZ/ საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი, საქართველო. 14 მარტი, 2019 წ. მომხსენებელი/მონაწილე ფინანსური ლიზინგისა და გირავნობით უზრუნველყოფილი სესხის გამიჯვნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და სხვა.

ამასთან, კანდიდატი წლებია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:

- 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას
- 2012 წლიდან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი პროფესორი (აფილირებული პროფესორი 2018 წლიდან, კერძო სამართლის მიმართულება). სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.
- 2017 წლიდან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 2012 წლიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 2014 წლიდან იუსტიციის უმაღლესი სკოლა მოწვეული ლექტორი სასწავლო კურსი: სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმეთა განხილვის თავისებურებანი
- 2010 -2017წ. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი მოწვეული პროფესორი
- 2008 -2018 წ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი მოწვეული პროფესორი

- 2012-2022 წ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი 2014-2018 წ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება)
- 2007-2016 წ. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი
- 2013-2017 წ. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი პროფესორი
- 2006- 2017 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი
- 2008 -2017წ. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, მოწვეული პროფესორი
- 2005 – 2008 წ. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საპროფესოროს ხელმძღვანელი
- 1999-2005 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, დოცენტი, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე
- 2001 – 2003 წ. მოსამართლეთა სასწავლო ცენტრი მოწვეული ლექტორი
- 1997-1999წ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

2.7 პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი არის არაერთი სამეცნიერო სტატიის/მონოგრაფიისა თუ წიგნის ავტორი, კერძოდ:

გამოქვეყნებული შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი):

- სტატია - გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას პროფ. ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წ., გვ.104-115. www.press.tsu.edu.ge
- სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II ნაწილი წიგნი „მერიდიანი,"თბილისი, 2023 წ., 704 გვ. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით პროფ. ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023წ., საიუბილეო კრებული გვ.345-358. www.press.tsu.edu.ge

- მონოგრაფია - დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრატიკა) წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2022 წ., 405 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 6/2022, გვ.1-19. www.lawjournal.ge
- სტატია - ჩუქების უკუქცევა შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 7/2022, გვ.28-50. www.lawjournal.ge
- სტატია - გაცვლის ხელშეკრულება ქართულ სამართალში შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 8/2022, გვ.1-11. www.lawjournal.ge
- Zurab Dzlierishvili Termination of Oblligation by Deposit Journal of Law #2(2021) Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.47-60. www. press.tsu.edu.ge
- სტატია - ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით „სამართლის ჟურნალი“ #2, 2021, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021წ., გვ. 52-67,www.press.tsu.edu.ge
- Zurab Dzlierishvili Implication of the Principle of Nominalism upon Fulfillment of a Monetary Obligation Journal of Law #1(2020). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.14-28. www. press.tsu.edu.ge
- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ., 2020. LawLibrary.info/ge
- სტატია - „ნომინალიზმის პრინციპის მნიშვნელობა ფულადი ვალდებულების შესრულებისას“ „სამართლის ჟურნალი“ #1, 2020 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020წ., გვ.14-29. www.press.tsu.edu.ge
- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, 2020. LawLibrary.info/ge
- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (გაცვლა; ჩუქება; ნარდობა; სამისდღეშიო რჩენა) ელ.წიგნი www. gccc.tsu.ge, 2019წ.
- სახელმძღვანელო - ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (თეორია და პრაქტიკა) წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2018 წ., 735 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- Zurab Dzlierishvili Cross undertaking as to Damages Resulting from a Provisional Remedg Journal of Law #1(2018). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.5-19. www. press.tsu.edu.ge
- ზურაბ ძლიერიშვილი სტატია სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა „სამართლის ჟურნალი“ #1, 2018 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018წ., გვ.5-22. www.press.tsu.edu.ge

- Zurab Dzlierishvili Grounds for and Legal Consequenoces of Revocation of Donation Journal of Law #1(2017). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.81-100. www. press.tsu.edu.ge
- სტატია - ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები „სამართლის ჟურნალი“ #1, 2017 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017წ., გვ.105-127.
- სახელმძღვანელო - ნარდობის ხელშეკრულება (თეორია და პრაქტიკა) წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2016 წ., 534 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში წიგნი GIZ, თბილისი, 2015 წ.,198 გვერდი. www.giz.de/law-caucasus
- სახელმძღვანელო -ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სახელშეკრულებო სამართალი წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წ., 759 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სახელმძღვანელო -ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი (პირველი ნაწილი) წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2014 წ., 371 გვერდი.
- სტატია - ზიანის ანაზღაურება, როგორც მეორადი მოთხოვნა, ნარდობის წიგნი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის. (კრებულში - კერძო სამართლის პრობლემატიკა) უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013 წ., გვ.44-87.
- სტატია - ვალდებულების შესრულებაზე უარის სამართლებრივი ბუნება. პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013წ., გვ.296-314. www. press.tsu.edu.ge
- სტატია - მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე ჟურნალი „ადვოკატი“#1 2013 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2013 წ., გვ.30-43.
- სტატია - ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები. პროფესორ აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2013 წ., გვ. 178-191.
- პრაქტიკული სახელმძღვანელო - სამოქალაქო საპროცესო სამართალი (კაზუსები და ტესტები) წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წ., 342 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან, პროფესორ რომან წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2012., გვ. 314-329. შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული
- სტატია - სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება „ სტუდენტური სამართლის ჟურნალი“#1, 2012 GIZ, 2012წ., გვ.104-119, www.giz.de/law-caucasus
- მონოგრაფია - ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., 287 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სახელმძღვანელო - ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2010 წ., 542 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

- სტატია - ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ელ.ჟურნალი Max-Plank-Instituts für auslendisches und Internacionalles Privatrecht, Hamburg, Deutschland, http// www.mpipriv.de/files/pdf/2010 02 17 012 pdf
- პრაქტიკული სახელმძღვანელო - ვალდებულებითი სამართალი (კაზუსები და ტესტები) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2009 წ., 355 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების როლი საქონლის საერთაშორისო წასყიდობის ხელშეკრულების განმარტებისას ჟურნალი „პროფესია ადვოკატი"#2, 2008 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2008წ.
- დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2007 წ., 140 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- მონოგრაფია - ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2006წ., 190 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - განქორწინების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი ჟურნალი „ ქართული სამართლის მიმოხილვა"#3-4, 2006. „ჯეპლაკი"თბილისი, ტომი 9/2006, #3-4, გვ.348-356
- სახელმძღვანელო - ვალდებულების შესრულება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2006 წ., 146 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - სესხის ხელშეკრულება ჟურნალი „ ქართული სამართლის მიმოხილვა"#3-4, 2005. „ჯეპლაკი", თბილისი, ტომი 8/2005 #3/4/ გვ.382-390.
- მონოგრაფია - ფულადი ვალდებულებების შესრულების თავისებურებანი წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2005 წ., 51 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- მონოგრაფია - ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2005წ., 50 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- დამხმარე სახელმძღვანელო - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2004 წ., 58 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - სარჩელის ცნება, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წიგნი „"მერიდიანი", თბილისი, 2004წ. წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული Meridian 777@ gmail.com
- სტატია - ლიზინგი, კრებულში სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური საკითხები წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003წ.
- სტატია - უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი GIZ,2003 წ., გვ.314-327.
- სტატია - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით). ლიზინგი და გადასახადები ჟურნალი „სამართალი"#6- 7. 2003. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 2003.
- დამხმარე სახელმძღვანელო - ვალდებულებითი სამართალი (კაზუსები) წიგნი გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2002 წ., 250 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- სტატია - ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა"#4, 2002. „ჯეპლაკი",თბილისი, ტომი 5/2002, #4., გვ.502-522.
- დამხმარე სახელმძღვანელო - ნარდობის სამართლებრივი რეგულირება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2001 წ., 80 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი, კრებულში ქართული სამართლის საფუძვლები წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2001წ. Meridian 777@ gmail.com
- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2001წ.
- დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2001წ.
- სტატია - დაკარგულ საწარმდგენლო ან საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა ჟურნალი „სამართალი“#6- 7, 2000. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 2003 წ.
- მონოგრაფია - უდავო წარმოება წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წ., 67 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
- დამხმარე სახელმძღვანელო - უდავო წარმოება საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999 წ., 65 გვერდი.
- სტატია - შეგებებული სარჩელი, როგორც თავდაპირველი სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ჟურნალი „სამართალი“#6- 7, 1997. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 1997 წ.
- სტატია - ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997წ., 20 გვერდი.

კანდიდატი ასევე არის სხვადასხვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზენტი/ოპონენტი.

ამასთან, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებსა და შეხვედრებში კანდიდატის მონაწილეობა და მსგავს ფორმატში საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. აღნიშნული თვალსაზრისით კანდიდატი შედარებით ნაკლები აქტივობით გამოირჩეოდა. ამდენად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით იგი უნდა შეფასდეს - 3 ქულით.

დასკვნა კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატის მიერ თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი ზურაბ ძლიერიშვილი უნდა შეფასდეს - 95 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 19 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19 ქულა
3. წერის უნარი - 19 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა
7. პროფესიული აქტივობა - 3 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე